საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №44
2026 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

„იარაღის რეგისტრაციის მოწმობის, სანებართვო მოწმობების ფორმების, აგრეთვე მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 22 დეკემბრის №1371 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„იარაღის რეგისტრაციის მოწმობის, სანებართვო მოწმობების ფორმების, აგრეთვე მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 22 დეკემბრის №1371 ბრძანებაში (სსმ III, №181, 22/12/2008, 140.120.000.22.034.012.490) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანების №3 დანართით დამტკიცებული:

ა) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა (ფორმა №1) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით;

ბ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის ფორმების აღწერილობის პირველი და მე-2 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

1. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემულ და იურიდიული ძალის მქონე ძველი ფორმის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობას (ფორმა №1) უნარჩუნდება იურიდიული ძალა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მათი მოქმედების ვადით.
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია მარაგების ამოწურვამდე გასცეს ამ ბრძანების ამოქმედებამდე დამზადებული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის (ფორმა №1) ნიმუშები.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **გელა გელაძე**